



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 45

19 05 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის
N03/5703 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის სხდომის N9 ოქმის პირველი საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5703 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით,

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, შეიტანოს ცვლილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 2015 წლის 22 მაისის N2 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს 2047 წლის 22 მაისი.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი